განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი
## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 19.11.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 05.01.2022

თბილისი
2021

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სსიპ |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ევრაზიისა და კავკასიის კვლევები<br>Eurasian and Caucasian Studies |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ევრაზიისა და კავკასიის კვლევების მაგისტრი<br>Master of Eurasian and Caucasian Studies |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მე-7 |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ინტერდისციპლინური, 0388 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება<br>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი<br>(ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)<br>შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | - |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ფავლენიშვილი - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ივანნა მაჩიტიძე - შპს ნიუვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

| | |
|---|---|
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პატარია- შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანა ფირცხელანი - შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამამ, *ევრაზიისა და კავკასიის კვლევები,* ჩაანაცვლა პროგრამა, *ტრანსფორმაცია სამხრეთ საქართველოში.* ეს უკანასკნელი იყო საერთაშორისო ინგლისურენოვანი პროგრამა. იმის გამო, რომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შეცვლილიყო სწავლების ენა (გახდეს ქართულენოვანი), შესაბამისად, პროგრამა ნაცვლად რეაკრედიტაციისა, გადის აკრედიტაციას, როგორც ახალი პროგრამა.

წარმოდგენილი პროგრამა ფოკუსირებულია სამხრეთ კავკასიასა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში. თავდაპირველი პროგრამა შეიქმნა რამდენიმე უნივერსიტეტთან თანამშრომლობით; მათ შორისაა ოქსფორდის უნივერსიტეტი, რატგერსის უნივერსიტეტი, მაუნტჰოლიოქის კოლეჯი და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი.

*ევრაზიისა და კავკასიის კვლევების* პროგრამა ითვალისწინებს შესაბამის საგანმანათლებლო დონეს და მოიცავს როგორც აკადემიურ (თეორიულ და პრაქტიკულ), ისე კვლევით კომპონენტს. პროგრამის აღნიშნული ელემენტების განხორციელების შედეგად, კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს დარგობრივ ცოდნას და კვლევის მეთოდოლოგიურ უნარებს.

პირველად ინგლისურენოვან პროგრამას, *ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში*, აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წლის 11 ნოემბერს. 2012 წელს მოხდა პროგრამის სახელწოდების ცვლილება 38/2012-28 მაისის (2012 წელი) დადგენილებით. სახელის ცვლილება გადაწყდა ორი მიზეზის გამო: სამხრეთ კავკასია სოციალურ კვლევებში განიხილება, როგორც მხოლოდ შავი ზღვისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცის ნაწილი; შესაბამისად, რეგიონის შესწავლა სხვა მეზობელი რეგიონისა თუ სახელმწიფოს გარეშე სრულყოფილი სურათის მიღებას აბრკოლებს და მეორე; რეგიონის სახელმწიფოებმა გაიარეს ტრანზიციის პროცესი; შეიცვალა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სისტემა. პოლიტიკური რეალობა შესასწავლ რეგიონში რადიკალურადაა შეცვლილი.

საწყის ეტაპზე პროგრამის ფარგლებში სასწავლო ენად ინგლისურის გამოყენებამ პროგრამას შესძინა ხიბლი. მისი სტუდენტები გახდნენ როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე უცხო ქვეყნის წარმომადგენლები. პროგრამა ინტენსიურად მასპინძლობს ერაზმუს+, გაცვლითი

პროექტის, სტუდენტებს. დღესაც ერაზმუს+ პროგრამის 25 სტუდენტი სწავლობს პროგრამის მიერ შეთავაზებულ კურსებს. დღეისათვის, პროგრამის წინაშე დგას შემდეგი გამოწვევები: ინგლისურენოვანი აკადემიური პერსონალის მოძიება/მოწვევა და ქართველი სტუდენტების რაოდენობის შემცირება (ლექციები ინგლისურად და საკითხავი მასალის დაძლევა, რომელიც შეთავაზებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე გახდა ბარიერი ქართულენოვანი პოტენციური სტუდენტებისათვის). ამიტომ, პროგრამის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მხარდაჭერით, გადაწყდა სწავლების ენის შეცვლა (ქართული). თუმცა, უცხოელ სტუდენტებს შორის პოპულარული კურსები დარჩება ინგლისურენოვანი და მოემსახურება ერაზმუს+-ის პროგრამას სრულფასოვნად.

*ევრაზიისა და კავკასიის კვლევების* სამაგისტრო პროგრამა იცნობს საგანმანათლებლო სივრცისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს და, შესაბამისად, ის ორიენტირებულია იმისათვის, რომ მოამზადოს ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის მაღალკვალიფიციური პროფესიონალები არსებული მოთხოვნების შესატყვისად. კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ აღმასრულებელ, ანალიტიკურ და წარმომადგენლობით სამსასახურებში ეფექტიანი საქმიანობა, რაშიც მათ მოეხმარება პროგრამის ფარგლებში განვითარებული ჰოლისტური და მულტიდისციპლინური აზროვნება, საერთაშორისო სისტემაში არსებული კომლექსური გამოწვევების აღქმა, მათი ანალიზი და შეფასება; საჭიროების შემთხვევაში რისკების პრევენცია და მართვა. ამასთან ერთად, მაგისტრანტს უნდა შეეძლოს შეაფასოს და დაადგინოს ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის, უფრო კონკრეტულად, პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოთა ადგილი საერთაშორისო თანამეგობრობაში (მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებით, ევროკავშირთან, ნატოსთნ და სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ჭრილში და სხვა). პროგრამის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს ანალიტიკურ და კვლევით უნარებს, რომელსაც ის შეიძენს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში.

პროგრამა გრძელდება 2 აკადემიური წელი ანუ ოთხი სემესტრი. ის 120 კრედიტიანია (40 კრედიტი გროვდება სავალდებულო კურსებით, 40 კრედიტი - არჩევითი კურსებით, გამოყოფილია 10 თავისუფალი კრედიტი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომს ენიჭება 30 კრედიტი). სტუდენტისათვის შეთავაზებული კურსები იმგვარადაა სტრუქტურირებული, რომ ის პროგრამის მიმდინარეობისას თანმიმდევრულად სწავლობს და ითავისებს  საერთაშორისო ურთიერთობების, ეკონომიკისა და უსაფრთხოების თეორიებს; საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და განვითარების ეკონომიკის, უსაფრთხოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკას; ფაქტორებს, რომელიც ზემოქმედებს ერთდროულად

ევრაზიისა და კავკასიის რეგიონულ პროცესებზე, საერთაშორისო სისტემასა და გლობალურ პროცესებზე (**ცოდნა-გაცნობიერება**); იძენს ეფექტური კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, კრიტიკული ანალიზის, ევრაზიისა და კავკასიის რეგიონში წარმოქმნილი თუ უკვე არსებული ძირითადი პრობლემის იდენტფიკაციისა და სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებლად მუშაობის **უნარს.** სტუდენტი დამოუკიდებლად ირჩევს სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ მიმართულებას, კვლევის მეთოდოლოგიას, ამუშავებს რელევანტურ სამეცნიერო ლიტერატურას, ატარებს საველე სამუშაოებს და ქმნის ნაშრომს აკადემიური წერის სტანდარტის დაცვით **(ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა).**

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრეტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ზუმ-შეხვედრა. შეხვედრის მიმდინარეობისას მოხდა პროგრამის დოკუმენტებზე დეტალური მსჯელობა და სტანდარტების გადანაწილება; შემუშავდა ინტერვიუებისათვის სავარაუდო კითხვების მონახაზი.

ზუმ-ვიზიტი დაიწყო 09:00 საათზე (19.11.2021) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირველ შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, კონკრეტულად, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ვიცე-რექტორთან სამეცნიერო დარგში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილესთან. საუბარი შეეხო *ევრაზიისა და კავკასიის კვლევების* სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელობას, როგორც უნივერსიტეტისათვის, ისე ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მოქმედი ინგლისურენოვანი პროგრამა საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებდა და მისი კურსდამთავრებულები იყვნენ როგორც საქართველოს მოქალაქები, ასევე უცხო ქვეყნის წამომადგენლები. იმის გამო, რომ შემცირდა ქართველი სტუდენტების რაოდენობა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ შეცვლილიყო სწავლების ენა, გამხდარიყო ქართულენოვანი. ამიტომ ხდება პროგრამის წარმოდგენა აკრედიტაციისათვის და არა რეაკრედიტაციისათვის. პროგრამაში კვლავ რჩება გაცვლით პროგრამებში მონაწილე უცხოელ სტუდენტთათვის საინტერესო კურსები ინგლისურ ენაზე. ადმინისტრაციის ყველა წარმომადგენელმა ერთხმად აღნიშნა, რომ უსდ-

სთვის წარმოდგენილი პროგრამა ძალზედ მნიშვნელოვანია, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში უსდ მზადაა უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური სტაბილურობა.

მეორე შეხვედრის დროს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს: უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესორებსა და კურსდამთავრებულს. ინტერვიუების დროს თვითშეფასების ჯგუფის წევრები შეეხნენ ჯგუფის მუშაობის ფორმატს, კონკრეტული წევრებისათვის დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს პროგრამის თვითშეფასების პროცესზე მუშაობისას. ამავე შეხვედრაზე აკრედიტაციის ჯგუფი გაეცნო აკადემიური პერსონალის შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს, სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტებს მათი ქმედითუნარიანობის შესაფასებლად. დაისვა კითხვები, თუ როდის და როგორ ხდება სტუდენტთა ინფორმირება სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; როგორი, რა მექანიზმით და როდის ხდება რეაგირება სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის დასკვნებზე. მოყვანილი იქნა რიგი მაგალითები აღნიშნული გამოკითხვების შედეგებით განხორციელებულ ცვლილებებზე.

მომდევნო შეხვედრაზე ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და უსდ-ს ანალოგიური სამსახურის წარმომადგენლები. მათ აღწრეს საკუთარი ჩართულობის ფორმატი პროგრამის განხორციელებისას (კურიკულუმის შედგენის ტექნიკური მხარე, რუკების ფორმები, გაიდლაინები და სხვა). აღნიშნული სამსახური ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა დონის, შინაარსის და ფორმატის ღონისძებებს (ტრენინგი, სემინარი თუ ვორკშოფი), რომელიც მიმართულია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, მათ შორის მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ, ახალი სტანდარტების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისკენ, სწავლება-სწავლის მეთოდების გაცნობისაკენ და სხვა.

პროგრამის ხელმძღვანელთან შედგა საკმაოდ ხანგრძლივი და შინაარსიანი შეხვედრა. საუბარი შეეხო პროგრამის სტრუქტურას, კურსების დაბალანსების, კონკრეტულად კი, საგნებისათვის სავალდებულო და არჩევითი სტატუსის მინიჭების პრინციპს; კვლევის მეთოდოლოგიის კურსებს, სამაგისტრო თემაზე მუშაობის მიმდინარეობას, ლექტორთა ინფორმირებას სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ და მათ სამეცნიერო აქტიურობას;

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა კვლევითი პროცესის გაძლიერების ინსტრუმენტებს; სტუდენტთა წახალისებისა და ფინანსური დახმარების მექანიზმებს და სხვა. პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, რომ პროგრამა მუდმივად ვითარდება რეგიონის შიდა თუ გარე პოლიტიკისა  და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო  თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით; შესაბამისად,  ხდება პროგრამის სტრუქტურის, კურსების, საგნების სილაბუსების გადახედვა, გადახალისება და ახალი კურსების დამატება კურსდამთავრებულთა და ბაზრის მოთხოვნის შესატყვისად (მაგალითად, მოხდა კვლევის მეთოდების კურსების მოდიფიცირება და მათი მისადაგება სტუდენტთა მოთხოვნასთან). აკრედიტაციის ჯგუფის წევრები დეტალურად შეეხნენ სწავლების ენის შეცვლის განმაპირობებელ ფაქტორებს.

შესვენების შემდეგ, დათვალიერდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უსდ ინფრასტრუქტურულად გამართულია და მორგებულია სტუდენტების მოთხოვნებზე; თუმცა, ითხოვს გაუმჯობესებას. უსდ-ში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი. სტუდენტური აუდიტორიებში დამონტაჟებულია ლექცია-სემინარისათვის აუცილებელი ტექნიკა და ავეჯი. თსუ-ში ფუნქციონირებს სხვადასხვა თემატიკის კაბინეტი. ბიბლიოთეკის დათვალიერება შეფერხდა გარკვეული ტექნიკური მიზეზების გამო. თუმცა, მოგვიანებით, ონლაინ მოვინახულეთ მე-3 კორპუსის ბიბლიოთეკა. ვნახეთ პროგრამისთვის შეძენილი წიგნები; მათი ნაწილია გაციფრებულია. სტუდენტს ბიბლიოთეკაშიც და დისტანციურადაც უსდ-ს ვებ-გვერდიდან; ამოყენებით მარტივად შეუძლია სასურველი წიგნის მოძიება. ბიბლიოთეკა ფლობს მნიშვნელოვან აკადემიურ ელექტრონულ ბაზებს. უსდ-ში ფუნქციონირებს LMS - ელექტრონული პლატფორმა, რომელის მრავალი მიმართულებით ემსახურება ლექტორსა და სტუდენტს; სწავლის პროცესში გამოიყენება elearning ელ-სისტემა და მასში ჩაშენებული Turnitin-ის (პლაგიატის) პროგრამა.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალერების შემდგომ აკრედიტაციის ჯგუფი ორი სესიის ფარგლებში შეხვდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. აღნიშნული სესიების დასრულების შემდგომ დაიწყო შეხვედრები სტუდენტებთან, რომელიც გაგრძელდა კურსდამთავრებულთა სესიით და შეხვედრით დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან.

შეხვედრების დასრულების შემდეგ, ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტზე, შეაფასეს მიგნებები და გაუზიარეს ისინი უსდ-ს წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ვიზიტის, დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

- შესაბამისობაშია: 1.1, 1.2; 2.1, 2.4, 2.5, 2.6; 3.1, 3.2; 4.1,4.2, 4.3, 4.4; 5.1, 5.2, 5.3;
- მეტწილად შესაბამისობაშია: 2.2, 2.3.

**რეკომენდაციები:**

- **რეკომენდებულია,** კურიკულუმში მოხდეს ისეთი სასწავლო კურსის ინტეგრირება (სავალდებულო სტატუსით), რომელიც განიხილავს ევრაზიის კონცეფციის როლს და მიდგომებს (გეოპოლიტიკური, იდეოლოგიური, ცივილიზაციური და ა.შ.). აღნიშნული სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონცეფტუალურ ბმას საველდებულო და არჩევითი კურსებს შორის, ნათელს გახდის პროგრამის რეგიონულ ფოკუსს;

- წამყვან უნივერსიტეტებში რეგიონული კვლევების სამაგისტრო პროგრამების გამოცდილების შესაბამისად, პროგრამის სავალდებულო კომპონენტში **აუცილებელია** ისეთი სასწავლო კურსების დამატება, როგორიცაა კავკასიის ისტორია, კულტურა; ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში საშინაო პოლიტიკური პროცესები; ცენტრალური აზიის პოლიტიკის, ისტორიის და კულტურის შემსწავლელი სასწავლო კურსები;

- **რეკომენდებულია,** პროგრამის კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სოციალური კვლევის მეთოდების სავალდებულო სასწავლო კურსი გაიყოს ორ ნაწილად და პროგრამას დაემატოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდები;

- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში **რეკომენდებულია** უნარების ფარგლებში სასწავლო შედეგების ფორმულირება ისე, რომ აქცენტი გაკეთდეს კვლევის დიზაინის სისტემატიზირებულ აგებაზე, მათ შორის მეთოდოლოგიის შერჩევაზე, მონაცემების შეგროვება/გაანალიზებაზე;

- სამაგისტრო ნაშრომის, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, რუსეთის საგარეო პოლიტიკის სილაბუსებში **უნდა** გაიწეროს შეფასების კომპონენტების ფარგლებში დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტს და ასევე შემფასებელი კომისიის წევრებს

ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების სკალაზე და მისაღწევი ხარისხობრივი დონეების შესახებ;

- „კვლევის დიზაინის“, „გლობალური პოლიტიკის“ სასწავლო კურსების ფარგლებში **უნდა** დაზუსტდეს ცოდნა-გაცნობიერებეის და უნარების ნაწილის, ხოლო ‘საერთაშორისო ეკონომიკის“, „ცენტრალური აზიის პოლიტიკის“, „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსების შემთხვევაში - ცოდნა-გაცნობიერების ნაწილის სწავლის შედეგების ფორმულირება სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციასთან შესაბამისად;

- რიგ სასწავლო კურსებში, მაგალითად, „კვლევის დიზაინი“, „ევროპის რეგიონალური სამეზობლო პოლიტიკა“, „ნაციონალიზმი ეთნოკონფლიქტები და მშვიდობის შენარჩუნება“, „საბჭოთა კავშირის ისტორია“, „შედარებითი პოლიტიკა“ და სხვა, **რეკომენდებულია,** აქტივობის კომპონენტის შეფასების გადახედვა (დასწრებას ენიჭება ცალკე ქულა).

- ისეთი სასწავლო კურსების ფარგლებში, როგორიცაა „გლობალური პოლიტიკა“, „ევროპის რეგიონული სამეზობლო პოლიტიკა“, „რუსეთი და ახალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლტიკა“, **რეკომენდებულია,** განალხდეს სავალდებულო ლიტერატურა. რუსეთის საგარეო პოლიტიკის სილაბუსში განახლდეს წყაროები რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტური დოკუმენტების შესახებ. რათა სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა აითვისოს და გაანალიზოს რეგიონისთვის დამახასიათებელი პროცესები უახლესი ლიტერატურის გამოყენებით;

- სავალდებულო სასწავლო კურსის „ევროპის რეგიონული სამეზობლო პოლიტიკაში“ ფოკუსი კეთდება სამხრეთ კავკასიაზე, ამავე დროს ისეთი საკითხები, რომელიც ეხება რეგიონის სხვა ქვეყნებს, როგორიცაა უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, რუსეთი, ნაკლები ყურადღებით სარგებლობს ამ სილაბუსის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** დაზუსტდეს აღნიშნული სილაბუსის თემატიკა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- **სასურველია,** დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ნაწილი ნებისმიერ სფეროში 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომის შესახებ;

- **სასურველია** პროგრამის სტრუქტურაში როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კომპონენტის ფარგლებში საფაკულტეტო და დარგობრივი ძირითადი სასწავლო კურსების გამიჯვნა და შესაბამისი სტატუსის ასახვა პროგრამის სტრუქტურის აღწერაში და სილაბუსებში;

- **სასურველია,** ევრაზიის და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის სათაურის დაზუსტება ევროპის და აშშ-ს წამყავნი უნივერსიტეტების დარგში გამოცდილების გათვალისწინებით;

- პროგრამის კურსდამთავრებულთა მოსაზრებებების საფუძველზე, რომლებიც გამოიკვეთა გასაუბრებების დროს, **სასურველია** სრულიად ინგლისურენოვანი სწავლის პროცესის აღდგენა ან ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების რაოდენობის ზრდა (მაგალითად, სავალდებულო სასწავლო კურსების შემთხვევაში), რაც კურსდამთავრებულს მეტად კონკურენტუნარიანს ხდის როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო შრომის და განათლების ბაზარზე;
- **სასურველია** ისეთი სასწავლო კურსების ფარგლებში, როგორიცაა „სამშვიდობო მისიების“, „ნაციონალიზმის პრაქტიკის და თეორიის“, „ნაციონალიზმი, ეთნოკონფლიქტები და მშვიდობის შენარჩუნება“, „განვითარების ეკონომიკა“, „მდგრადი განვითარების“, ინტეგრირებული იქნას ევრაზიის რეგიონისთვის დამახასიათებელი შემთხვევების ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონული პროცესების და სუბრეგიონული თავისებურებების სტუდენტის მიერ გაანალიზებაში;
- **სასურველია** „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ სავალდებულო სასწავლო კურსის სათაურის დაზუსტება, რადგან სილაბუსის მიხედვით აქცენტი კეთდება ევროკავშირზე;
- სასწავლო კურსში, „რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა“, **სასურველია** თემატიკის დაზუსტება საქართველოსთან მიმართებაში, კერძოდ, ბოლო სამი თემა „ვარდების რევოლუციის შესახებ“ გადატანილი იქნას რუსეთის საგარეო პოლიტიკის საწავლო კურსში;

- **სასურველია,** დაზუსტდეს სასწავლო კურსის „შედარებითი პოლიტიკა: ავტორიტარიზმიდან დემოკრატიებამდე“ სათაური და გაკეთდეს აქცენტი შედარებითი ანალიზის სტრატეგიებზე, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ეფექტიანად გაანალიზონ რეგიონში მიმდინარე პროცესები;
- **სასურველია,** „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსი გახდეს სავალდებულო, ასევე „ცენტრალური აზიის პოლიტიკის“ სასწავლო კურსს მიენიჭოს სავალდებულო სტატუსი;
- სასურველია, დაზუსტდეს, პროგრამის რომელი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები იკითხება ინგლისურ ენაზე და შესაბამისი სილაბუსების იქნას შედგენილი.
- **სასურველია** ევრაზიის და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაში მეტი აქცენტი გაკეთდეს ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რომლის მიღწევის შეფასება განხორციელდება ისეთი დავალებებით, როგორიცაა პოლიტიკის დოკუმენტი, წიგნის/სტატიის რეცენზია, შემთხვევების (case study) შედარებითი ანალიზი და სხვა, რაც გააძლიერებს სტუდენტის მიერ რეგიონული პროცესების შეფასების დროსაც;

- სასურველია პროგრამის წარმომადგენლების მხრიდან გაკონტროლდეს სტუდენტებისათვის პლაგიატის პროგრამის არსებობისა და მისი გამოყენების წესების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების პროცესი.
- პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულმა პერსონალმა უზრუნველყოს სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ეფექტიანად მიწოდება, მათ შორის როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, ასევე ელექტრონული სწავლების მექანიზმების, არსებული სამეცნიერო რესურსების გამოყენებისა და სხვა აუცილებელი სერვისების შესახებ.
- **სასურველია,** პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდის (PBL), Inquiry-based, რეფლექსური სწავლა-სწავლების მეთოდის გათვალისწინება იმ სასწავლო კურსების ფარგლებში, სადაც ეს რელევანტური იქნება. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის მიერ სწავლის შედეგების მეტად ეფექტიანად მიღწევას;
- **სასურველია** პროგრამის წარმომადგენლების მხრიდან გაკონტროლდეს სტუდენტებისათვის პლაგიატის პროგრამის არსებობისა და მისი გამოყენების წესების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების პროცესი;
- **სასურველია,** პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების წასახალისებლად, რათა მათ აქტიურად გამოიყენონ აღიშნული ბაზები;სასურველია, მოხდეს გამოკითხვებში დამსაქმებელთა, როგორც ერთ-ერთი დაინტერესებული მხარის გამოპასუხების დონის კიდევ უფრო გაზრდა;
- **სასურველია,** პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებისა და დამსაქმებლების კიდევ უფრო მაღალი დოზით ჩართულობა და მოხდეს მათი აზრებისა და დამოკიდებულებების კვლევის შედეგების უფრო დეტალურად გაანალიზება;
- **სასურველია,** გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული რეაგირებებიც;
- **სასურველია** უფრო მეტად იკვეთებოდეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის გაანალიზების შედეგად რა რეკომენდაციები და რჩევები იქნა მიღებული და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ანალიზის საფუძველზე მოცემული პროგრამის შემუშავებისას;
- **სასურველია** პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;

- **სასურველია,** პერიოდულად მოხდეს კოლეგების მიერ სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების გზით, რაც კიდევ უფრო უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

**საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში):**

**განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

**უსდ-დან არგუმენტირებული პასუხის** მიღების შემდეგ, აკრედიტაციის ჯგუფმა გადაწყვიტა 5.1 რეკომენდაცია გადაეტანა რჩევაში, ჩასწორდა რამდენიმე რეკომენდაცია 2.2 და 2.3 სტანდარტში, ხოლო რამდენიმე გადავიდა რჩევაში. 2.4-სა და 2.5 სტანდარტებში გაცემული რეკომენდაციები გადავიდა რჩევებში.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევრაზიისა და კავკასიის კვლევებს სამაგისტრო პროგრამის მიზანია, სტუდენტს ჰქონდეს მაღალი სტანდარტის შესატყვისი განათლების მიღების შესაძლებლობა. მან უნდა შეიძინოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საფუძვლიანი ინტერდისციპლინური განათლება (დარგის სავალდებულო და არჩევითი კურსები) და ფლობდეს სფეროში მუშაობისათვის აუცილებელ სპეციალიზებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. კონკრეტულად კი, პროგრამამ უნდა მოამზადოს ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები იმ ცოდნითა და უნარით, რომელსაც ითხოვს საგანმანათლებლო სივრცე და დასაქმების ბაზრი. პროგრამამ უნდა განუვითაროს სტუდენტს ჰოლისტური და, ამავდროულად, ინტერდისციპლინური აზროვნება საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსური გამოწვევების შეფასება/ანალიზისათვის და, საჭიროების შემთხვევაში, პრევენციისა და მართვისათვის. პროგრამა იმგვარადაა აგებული, რომ სტუდენტმა მიიღოს საფუძვლიანი ცოდნა ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, რეგიონალური პროცესების შესახებ და შეადაროს ის მიმდინარე საერთაშორისო პროცესებს; შეძლოს საშინაო და საგარეო ურთიერთობებში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, ანალიზი და განზოგადოება თეორიული ცოდნის გამოყენებით; დაეუფლოს კვლევით უნარებს, რომელთა მეშვეობით შეძლებს სამაგისტრო ნაშრომის შექმნას და მათი გამოყენებით სამომავლოდ წარმატებით გაართმევს თავს სამახურრეობრივ მოვალეობებს.<br><br>ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, რომელიც თანხმობაშია უსდ-ს მისიასთან, პროგრამა უნივერსიტეტთან ერთად მოტივირებულია შესთავაზოს სტუდენტს ხარისხიანი |

განათლება, მოამზადოს ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის სპეციალისტები/მკვლევარები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის პროცესში ჩართული კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ჩართულობითა და კვლევითი თუ პედაგოგიური საქმიანობის ხელშეწყობით.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას - მოამზადოს შრომის ბაზრისთვის კონკურენტული, მაღალპროფესიული კადრი, რომელიც შეძლებს თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას; კურსამდამთავრებულს პროგრამა გამოუმუშავებს დემოკრატიულ ღირებულებებს, პასუხისმგებლიანობას, ღიაობას და ავტონომიურად გადაწყვეტილების მიღების უნარს. პროგრამის მიზანი შექმნას კადრი ჩამოთვლილი ღირსებებითა და ღირებულებებით სრულად შეესაბამა პროგრამის მიზნებსაც და ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების გეგმასაც.

უსდ-მ ჩაატარა ბაზრის კვლევა, საიდანაც ვლინდება, რომ დამსაქმებლები ითხოვენ კურსდამთავრებულს, რომელსაც შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს ცოდნა ევრაზიისა და კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე და მის ჩართულობაზე საერთაშორისო დონეზე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია  და პროგრამის ხელმძღვანელი პერიოდულად ხვდება დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებს. როგორც ბაზრის კვლევებმა, ისე დამსაქმებლებთან შეხვედრებმა გამოკვეთა ძირითადი მოთხოვნები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს პროგრამის კურსდათავრებულმა. მოთხოვნათა შორისაა როგორც დარგის თეორიული და ინტერდისციპლინური ცოდნა, ასევე მისი პრაქტიკული გამოყენება; წერითი და ზეპირმეტყველებითი უნარები; კომუნიკაციის უნარი და ინგლისური ენის ცოდნა სრულყოფილად. დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულთან შეხვედრებისას გაჟღერებული რჩევები გათვალისწინებული იქნა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. პროგრამას დაემატა ან გამოკლდა კურსები, რითიც პროგრამა გახდა თამანედროვე გამოწვევებზე მორგებული და ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი.

*ევრაზიისა და კავკასიის კვლევების* სამაგისტრო პროგრამის განვითარებაში ჩართულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და

| |
|---|
| მოწვეული ლექტორები. პროგრამა სთავაზობს სტუდენტს როგორც აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების, ისე სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოთა განვითარების შემსწავლელ კურსებს. აღნიშნული კურსები საინტერესო და მოთხოვნადია ადგილობრივი სტუდენტებისათვისაც და უცხოელი მოქალაქეებისათვისაც. უცხოელი სტუდენტები ირჩევენ თავად პროგრამას ან კონკრეტულ კურსებს ერაზმუს +-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.<br><br>აღსანიშნავია, რომ უსდ-ს, ფაკულტეტსა და პროგრამას შემუშავებული აქვს პროგრამის გასავითარებლად ინტრნაციონალიზაციის სერიოზული სტრატეგია. პროგრამის სტუდენტების მონაწილეობენ ერაზმუსის + გაცვლით პროგრამებში. აღნიშნულ პროგრამით აქტიურად სარგებლობს აკადემიური პერსონალიც; უსდ-ს გაფორმებული აქვს მრავალი მემორანდუმი ევროპულ თუ ამერიკულ უნივერსიტეტებთან. მემორანდუმების მოქმედების ვადა ავტომატურად გრძელდება.<br><br>ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.tsu.edu.ge) როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• უსდ-ს მისია,<br>• თვითშეფასების დოკუმენტი,<br>• *ევრაზიისა და კავკასიის კვლევების* სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა,<br>• კურსების სულაბუსები,<br>• ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია,<br>• მემორენდუმები,<br>• ბაზრის კვლევის დოკუმენტი,<br>• თბილისი სახლმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.tsu.edu.ge). |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):** |
| **შეფასება**:<br><br>Vშესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| • პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>• პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>• შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კვალიფიკაციაში აღწერილ სამაგისტრო დონის შედეგებს. კერძოდ, პროგრამის დასრულების შემდგომ მაგისტრი ფლობს ცოდნას ევრაზიისა და კავკასიის რეგიონის შესახებ, რომელიც მან შეიძინა უახლესი სამეცნიერო კვლევების გაცნობა/შესწავლის საფუძველზე; იცნობს კვლევის ემპირიულ ინსტრუმენტებს დარგის ნებისმიერი საკითხის საკვლევად. კურსდამთავრებულს შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკული მიზნებისათვის; მას აქვს უნარი მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება, მისი ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, რისკების თავიდან აცილება ან მართვა.<br><br>პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია პროგრამის კურსების საფუძველზე აღწეროს და განმარტოს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და განვითარების ეკონომიკის, უსაფრთხოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკა; ყველა ის ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს როგორც ევრაზიისა და კავკასიის რეგიონულ |

პროცესებზე, ასევე საერთაშორისო სისტემაზე და გლობალურ პროცესებსა და ინსტიტუტებზე; ის ფლობს ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების, ეკონომიკისა და უსაფრთხოების თეორიების შესახებ. მაგისტრს შეუძლია რეგიონში განვითარებული პროცესების კრიტიკული ანალიზი, სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა კვლევის საჭირო მეთოდის შერჩევა და იმპლემენტირება (ცოდნა-გაცნობიერება).

პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, ნებისმიერი სირთულის ტექსტის, მათ შორის ინგლისურენოვანი, კრიტიკული ანალიზის უნარს. მას შეუძლია წამოჭრილი გამოწვევის დადგენა და მსგავს მოვლენასთან შედარება, სამეცნიერო ლიტერატურაზე დამოუკიდებლად მუშაობა, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა კონკრეტულის კვლევისათვის (უნარები).

პროგრამის მაგისტრს შეუძლია შექმნას ნებისმიერი ფორმატის წერილობითი ნაშრომი აკადემიური წერის სტანდარტის დაცვითა და უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. მას ძალუძს დარგის შესწავლილი საკითხის შესახებ ზეპირი პრეზენტაციის ჩატარება სხვადასხვა კატეგორიის მსმენელთან, მათ შორის სამეცნიერო/აკადემიურ აუდიტორიასთან (პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა).

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადი. სწავლის თითოეული შედეგი წარმოდგენილია დაკვირვებადი პროცესით/აქტივობით, რომელიც გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებში. სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ჩართული იყო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, საქართველოს მოქალაქე სტუდენტები და უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმელები.

სწავლის შედეგების შეფასებისათვის შექმნილია პროგრამის სწავლის შედეგებისა და სილაბუსის სწავლის შედგების ფორმა/კურიკულუმის რუკა, სამიზნე ნიშნულებთან დადარება. ამვდროულად, გამოიყენება სწავლის შედეგების პირდაპირი (სტუდენტების წერითი და ზეპირი გამოკითხვა, გამოცდა, პრეზენტაცია, რეფერატი და სხვა) და არაპირდაპირი (სტუდენტთა (ანონიმური), დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, სტუდენტთა შეფასების მექანიზმები. სწავლის შეფასების შედეგების მონიტორინგს აწარმოებს ხარისხის სამსახური სემესტრულად. რეგრესის გამოვლენის შემთხვევაში, ხდება სწავლის შედეგებისა და მიღწევის გზების გადახედვა. შედეგად, პროგრამა გარდაიქმნება უსდ-ს რეგულაციების მიხედვით.

ხარისხის დეპარტამენტი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების, სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვის და ანალიზის უნარების განვითარებისათვის, სილაბუსების სწორად შედგენის მიზნით; იძლევა მეთოდურ რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულია როგორც ფაკულტეტის, ისე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის სამსახური ორივე დონეზე (უსდ და სკოლა) და ადმინისტრაციული ერთეულები აგრეთე ორივე დონეზე. პროგრამის გამართვა/შეფასებაში მონაწილეობენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები. დამსაქმებლებთან ხშირი შეხვედრები და საუბრები პროგრამის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ევრაზიისა და კავკასიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა,
- პროგრამის სილაბუსები,
- თვითშეფასების დოკუმენტი,
- დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვები,
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 9),
- კურიკულუმის რუკა (დანართი 9),
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და გეგმა,
- ინტრვიუები ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება:**<br><br>V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | V | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად.<br>აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობებზე ინფორმაცია განთავსებულია როგორც პროგრამის აღწერილობაში, ასევე, თვითშეფასების ანგარიშში. მაგისტრატურაში მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში. ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ გვერდზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოიპოვება პროგრამის აღწერილობაში, კერძოდ, ჩამოთვლილია **შემდეგი დაშვების პირობები:**<br>1) *ბაკალავრის ხარისხი* ან 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი ნებისმიერ სფეროში (ალბათ, იგულისხმება „სპეციალისტის“ განათლება. მაგალითად, თუ ვინმე ჩააბარებს რუსეთიდან ან იმ ქვეყნებიდან, სადაც ეს 5 წლიანი განათლება ჯერ კიდევ არის. კარგი იქნება ამის დაკონკრეტება.). *პროგრამაში ჩანაწერის მიხედვით,* „სასურველია გარკვეული ცოდნა შემდეგ სოციალურ მეცნიერებებში: საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური მეცნიერებები, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო სამართალი, პოლიტიკური გეოგრაფია, საერთაშორისო ეკონომიკა, სამართალი, უცხო ენები“. ამასთან დაკავშირებით, მიგვაჩნია, რომ „გარკვეული ცოდნის“ ფორმულირება, სასურველია, დაზუსტდეს, რადგან ამ მიდგომით პრობლემურია პროგრამაზე ჩაბარების მსურველი სტუდენტის ცოდნის ფლობის გაზომვა. აღნიშნული ფორმულირება შეილება შემდეგნაირად შეიცვალოს: მაგალითად, „სასურველია ბაკაკალვრის ხარისხი“ შემდეგ სფეროებში: საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური მეცნიერებები, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო სამართალი, პოლიტიკური გეოგრაფია, საერთაშორისო ეკონომიკა, სამართალი, უცხო ენები.<br>2) *საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება*;<br>3) *სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია* სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის; |

3) *ინგლისური ენის ცოდნა სულ მცირე B2* დონეზე (შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS,სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები), ან გამოცდის ჩაბარება - თსუ-ს ენათა ცენტრის მიერ ორგანიზებული სამაგისტრო მისაღები გამოცდა);

4) *წერითი გამოცდა სპეციალობაში.*

<u>**მისაღები გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა გამოიყურება შემდეგნაირად:**</u>

- საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა;
- ინგლისური ენის გამოცდა - B2 დონე (50%)- მინიმალური 51 ქულა;
- წერითი გამოცდა (50 - %) - მინიმალური 51 ქულა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლობს მნიშვნელოვანი რაოდენობის უცხო ქვეყნების მოქალაქე, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებიდან და აშშ-დან. სტუდენტებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ მათ მიერ პროგრამით გათვალისწინებული მიღების ყველა პირობა იყო დაკმაყოფილებული.

სამაგისტრო პროგრამის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ბმული, რომელიც მოიცავს სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარებისათვის საგამოცდო თემებს და საკითხავ მასალას, მაგრამ ბმულის გახსნისას აღნიშნული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი (ვიზიტის პერიოდში).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას და მაღალი კონკურენციის პირობებში უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ

| |
|---|
| კანონმდებლობას, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>• ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა;<br>• სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს ოქმები;<br>• ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ გვერდი. |
| **რეკომენდაციები:** |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:<br><br>• სასურველია, დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ნაწილი ნებისმიერ სფეროში 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომის შესახებ. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>**გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა**<br><br>V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ევრაზიის და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა შედგენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით (იხ. ინდიკატორები).

<u>სამაგისტრო პროგრამა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:</u>

- **საფაკულტეტო/საბაზისო სავალდებული კურსები** - 70 კრედიტი (ECTS), მათ შორის: სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი (ECTS), სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი (ECTS);
- **საფაკულტეტო/საბაზისო არჩევითი კურსები** - 40 კრედიტი (ECTS);
- **თავისუფალი სასწავლო კურსები** 10 კრედიტის (ECTS) მოცულობით.

პროგრამის აღწერილობის, ასევე სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლის საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კომპონენტის ფარგლებში პროგრამის სტრუქტურაში საჭიროა მოხდეს საფაკულტეტო და თავად რეგონული კვლევების ძირითადი სასწავლო კურსების გამიჯვნა და კურსების შესაბამისი სტატუსის ასახვა პროგრამის სტრუქტურის აღწერაში.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ნაკლებად გასაგებია, პროგრამის არსებული სათაურის შერჩევის პრინციპი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასურველია ევრაზიის და კავკასიის კვლევების პროგრამის სათაურის დაზუსტება დარგში ევროპის და აშშ-ს წამყავნი უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით. უმეტესწილად სათაურის შემდეგი ფორმულირებები გვხდება, მაგალითად, რუსუთის და ევრაზიული კვლევები (Russian and Eurasian Studies – Eliott School of International Affairs; Leiden University, Uppsala University etc.); რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპის და ევრაზიის კვლევები (Russian, East European and Eurasian Studies – Stanford University), ცენტრალური აზიის კვლევები (Central Asian Studies – Indiana Universty Bloomington); რუსეთის და აღმოსავლეთ ევროპის კვლევები (Russian and East European Studies – University of Oxford). როგორც გაირკვა პროგრამის წარმომადგენლებთან გასაუბრებების შედეგად, არსებულ პროგრამაში კავკასიის კვლევები ევრაზიული კვლევებისგან ცალკეა ნახსენები, რადგან პროგრამის კონცეფცია აქცენტს აკეთებს მხოლოდ კავკასიის, კერძოდ, სამხრეთ კავკასიის მიმართულებაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სოციალური და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტზე მანამდე აკრედიტირებული პროგრამის მემკვიდრეობა („სამხრეთ კავკასიის ტრანსფორმაციის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა). ასევე, სამხრეთ კავკასიის მიმართულების სასწავლო კურსები განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს საერთაშორისო მობილობის ფარგლებში ჩამოსულ სტუდენტებს ან უცხოელ სტუდენტებს შორის, ვისაც სურს სამაგისტრო საფეხურზე აღნიშნულ სფეროში სრულყოფილი მაგისტრატურის განათლების მიღება. აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციისთვის წარდგენილ პროგრამაში აქცენტი მეტად კეთდება სწორედ სამხრეთ კავკასიაზე და ნაკლებად განიხილება კავკასია მთლიანად (ჩრდილო კავკასია),, მისი ისტორია, დამახასიათებელი კულტურული თავისებურებები, თანამედროვე შიდაპოლიტიკური პროცესები და სხვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** კურიკულუმში მოხდეს ისეთი სასწავლო კურსის ინტეგრირება (სავალდებულო სტატუსით), რომელიც განიხილავს ევრაზიის კონცეფციის როლს და მიდგომებს (გეოპოლიტიკური, იდეოლოგიური, ცივილიზაციური და ა.შ.). აღნიშნული სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონცეპტუალურ ბმას სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის, ნათელს გახდის პროგრამის რეგიონულ ფოკუსს, ხოლო საფაკულტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს რეგიონული პროცესების შესწავლას საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და განვითარების ეკონომიკის, უსაფრთხოებისა და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული თეორიების და პრაქტიკული საკითხების ჭრილში.

ევრაზიის და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაში იკვეთება სასწავლო კურსების რამდენიმე თემატური ჯგუფი: რუსეთის შემსწავლელი კურსები; სამხრეთ კავკასიის სახელმწფოების მიმართულება, ევროკავშირი და სამეზობლო პოლიტიკაში ჩართული სახელმწიფოები, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. ამავე დროს, დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში რეგიონული კვლევების სამაგისტრო პროგრამების გამოცდილების შესაბამისად, პროგრამის სავალდებულო კომპონენტში საჭიროა ისეთი სასწავლო კურსების დამატება, როგორიცაა კავკასიის ისტორია, კულტურა; ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში საშინაო პოლიტიკური პროცესები; ცენტრალური აზიის პოლიტიკის, ისტორიის და კულტურის შემსწავლელი კურსები, რათა პროგრამა გახდეს სახელის/კვალიფიკაციის შესაბამისი.

ზემოთ აღნიშნულთან მიმართებაში, სასურველია პროგრამაში ისეთი არჩევითი სასწავლო კურსის დამატება, რომელიც უზრუნველყოფს უშუალოდ იმ კვლევების მეთოდების სიღრმისეულ შესწავლას, რომლებსაც სტუდენტი გამოიყენებს ევრაზიის რეგიონში პროცესების შესწავლისას (Research Methods for Area Studies).

ევრაზიის და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო ნაწილი მოიცავს კვლევით კომპონენტსაც, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომით (30 კრედიტის მოცულობით). მისასალმებელია, რომ პროგრამის კვლევის მეთოდების კომპონენტი წარდგენილია როგორც კვლევის დიზაინით, ისე სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდებით. ამავე დროს, სამაგისტრო საფეხურისთვის შესაბამასი სწავლის შედეგების მისაღწევად, საჭიროა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების ცალკე სასწავლო კურსებად დაყოფა. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში კვლევითი მეთოდოლოგიის ადეკვატურ შერჩევას (რეკომენდაცია გაიცა 2.4 სტანდარტში).

რაც შეეხება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას, საჯარო დაცვაზე ნაშრომის წარდგენამდე მაგისტრანტი ვალდებულია საკუთარი ნაშრომი ატვირთოს პლაგიატის დეტექციის პროგრამაში (Turnitin). იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება გადაცდომებს, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის

ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება და/ან სტატუსის შეწყვეტა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა მოსაზრებებების საფუძველზე, რომლებიც გამოიკვეთა ვიზიტის ფარგლებში გასაუბრებების დროს, სასურველია სრულიად ინგლისურენოვანი სწავლის პროცესის აღდგენა ან ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების რაოდენობის ზრდა (მაგალითად, სავალდებულო სასწავლო კურსების შემთხვევაში), რაც კურსდამთავრებულს მეტად კონკურენტუნარიანს ხდის როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო შრომის და განათლების ბაზარზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ევრაზიისა და კვკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და კომპლექსურობა მეტწილად შეესაბამება მაგისტრატურის სწავლების საფეხურის მოთხოვნებს. აქედან გამომდიანრე, პროგრამაში რეგიონული ფოკუსის გაძლიერებისათვის, საჭიროა ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- ევრაზიისა და კვკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- ევრაზიისა და კვკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ჩატარებული ინტერვიუები პროგრამის შემუშავებაში და განხორციელებაში ჩართულ პირებთან;
- ელექტრონული სწავლების ფორმატში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის წესები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, კურიკულუმში მოხდეს ისეთი სასწავლო კურსის ინტეგრირება (სავალდებულო სტატუსით), რომელიც განიხილავს ევრაზიის კონცეფციის როლს და მიდგომებს (გეოპოლიტიკური, იდეოლოგიური, ცივილიზაციური და ა.შ.). აღნიშნული სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონცეფტუალურ ბმას საველდებულო და არჩევითი კურსებს შორის, ნათელს გახდის პროგრამის რეგიონულ ფოკუსს;

- წამყვან უნივერსიტეტებში რეგიონული კვლევების სამაგისტრო პროგრამების გამოცდილების შესაბამისად, პროგრამის სავალდებულო კომპონენტში საჭიროა ისეთი სასწავლო კურსების დამატება, როგორიცაა კავკასიის ისტორია, კულტურა;

ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში საშინაო პოლიტიკური პროცესები; ცენტრალური აზიის პოლიტიკის, ისტორიის და კულტურის შემსწავლელი სასწავლო კურსები;

- რეკომენდებულია, პროგრამის კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სოციალური კვლევის მეთოდების სავალდებულო სასწავლო კურსი გაიყოს ორ ნაწილად და პროგრამას დაემატოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სასურველია პროგრამის სტრუქტურაში როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კომპონენტის ფარგლებში საფაკულტეტო და დარგობრივი ძირითადი სასწავლო კურსების გამიჯვნა და შესაბამისი სტატუსის ასახვა პროგრამის სტრუქტურის აღწერაში და სილაბუსებში;
- სასურველია, ევრაზიის და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის სათაურის დაზუსტება ევროპის და აშშ-ს წამყავნი უნივერსიტეტების დარგში გამოცდილების გათვალისწინებით;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა მოსაზრებებების საფუძველზე, რომლებიც გამოიკვეთა გასაუბრებების დროს, სასურველია სრულიად ინგლისურენოვანი სწავლის პროცესის აღდგენა ან ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების რაოდენობის ზრდა (მაგალითად, სავალდებულო სასწავლო კურსების შემთხვევაში), რაც კურსდამთავრებულს მეტად კონკურენტუნარიანს ხდის როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო შრომის და განათლების ბაზარზე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ ვიზიტისა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, ევრაზიის და კავკასიის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება განსაზღვრულ მიზნებს, სწავლების ფორმატს და კურსის სწავლის შედეგებს. ამასთან დაკავშირებით ხაზგასასმელია, რომ „კვლევის დიზანის“, „გლობალური პოლიტიკის“ სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში საჭიროა სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერებეის და უნარების ნაწილის ფორმულირების დაზუსტება, ხოლო ‘საერთაშორისო ეკონომიკის“, „ცენტრალური აზიის პოლიტიკის“, „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“, „სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ“ სასწავლო კურსის შემთხვევაში - ცოდნა-გაცნობიერების ნაწილის სწავლის შედეგების ფორმულირების დაზუსტება სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციასთან შესაბამისად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შედეგად დადგინდა სასწავლო კურსების კრედიტებით ადეკვატური დატვირთვა, დამოუკიდებული და საკონტაქტო საათების გადანაწილება, უმეტესწილად ადეკვატურია სასწავლო კურსების შინაარსი, რაც სტუდენტებს უქმნის საფუძველს მისი კვლევითი ინტერესების გაღრმავებისათვის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტის მეშვეობით და შემდგომ შესაბამისი მიმართულების მიხედვით აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები როგორც რეგიონული პროცესების თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო პოლიტიკაში, ეკონომიკაში და უსაფრთხოებაში არსებული საფრთხეების, პრობლემების და გამოწვევების კუთხით.

სისტემატიურად ხორციელდება სასწავლო კურსების ფარგლებში სწავლების ხარისხის შეფასება სტუდენტების მიერ, რაც იძლევა კურსების შინაარსის, მეთოდოლოგიური მხარის გაუმჯობესების საშუალებას. აქვე გვსურს ავღნიშნოთ, რადგან პროგრამა ქართულენოვანია

და მოიცავს ინგლურენოვან კომპონენტებს, აუცილებელია ამომწურავი ინფორმაციის უზრუნველყოფა, რომელი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები იკითხება ინგლისურ ენაზე და შესაბამისი სილაბუსების შედგენა.

რაც შეეხება ლიტერატურას, სილაბუსში მითითებული მასალა დაფუძნებულია როგორც საკვანძო კლასიკურ, ასევე თანამედროვე წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უმეტესწილად, სილაბუსებში სასწავლო მასალა საშუალებას აძლევს მაგისტრანტს, დაეუფლოს ევრაზიის კვლევების აქტუალური საკითხების შესწავლას და შემდგომ დარგში არსებული კვლევების კრიტიკულ გაანალიზებას, ასევე კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად დაგეგმვის და განხორციელების უნარებს. ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან, ასევე აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამის ფარგლებში ლიტერატურის განახლება ხდება სისტემატიურად სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამავე დროს, რიგი სასწავლო კურსების ფარგლებში, მაგალითად, „გლობალური პოლიტიკა“, „ევროპის რეგიონული სამეზობლო პოლიტიკა“, „რუსეთი და ახალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლტიკა“ გასაახლებელია სავალდებულო ლიტერატურა. „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ სილაბუსში უნდა განახლდეს წყაროები რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტური დოკუმენტების შესახებ, რათა სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა აითვისოს და გაანალიზოს რეგიონისთვის დამახასიათებელი პროცესები უახლესი ლიტერატურის გამოყენებით.

სავალდებულო სასწავლო კურსის, „ევროპის რეგიონული სამეზობლო პოლიტიკაში“, ფოკუსი კეთდება სამხრეთ კავკასიაზე; ამავე დროს ისეთი საკითხები, რომელიც ეხება რეგიონის სხვა ქვეყნებს, როგორიცაა უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, რუსეთი, ნაკლები ყურადღებით სარგებლობს ამ სილაბუსის ფარგლებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროკავშრის სამეზობლო პოლიტიკა მოიცავს ასევე ხემლთაშუა ზღვის ქვეყნებს. ამდენად, სათაურში უნდა იყოს ასახული ფოკუსი აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებაზე და ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებზე. ამის გარდა, საჭიროა ასევე პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში მეტი აქცენტი გაკეთდეს რეგინული პროცესების შესწავლაზე, მაგალითად, შემთხვევების ანალიზის მეშვეობით. ეს მიდგომა გააძლიერებს პროგრამის რეგიონულ ფოკუსს, მაგალითად, „სამშვიდობო მისიების“, „ნაციონალიზმის პრაქტიკის და თეორიის“, „ნაციონალიზმი,

ეთნოკონფლიქტები და მშვიდობის შენარჩუნება“, „განვითარების ეკონომიკა“, „მდგრადი განვითარების“ სასწავლო კურსებში.

სასწავლო კურსში „რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა“ რეკომენდებულია თემატიკის დაზუსტება საქართველოსთან მიმართებაში, კერძოდ, ბოლო სამი თემა „ვარდების რევოლუციის შესახებ“ გადატანილი იქნას რუსეთის საგარეო პოლიტიკის სასწავლო კურსში. რეკომენდებულია, ასევე, რუსეთის საგარეო პოლიტიკის სასწავლო კურსის სავალდებულო სტატუსის მინიჭება, რადგან ამ კურსის ფარგლებში შესწავლილ თემატიკას საკვანძო როლი გააჩნია ევრაზიის რეგიონული სპეციფიკის ათვისებისათვის. სასურველია, დაზუსტდეს სასწავლო კურსის „შედარებითი პოლიტიკა: ავტორიტარიზმიდან დემოკრატიებამდე“ სათაური და გაკეთდეს აქცენტი შედარებითი ანალიზის სტრატეგიებზე, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ეფექტიანად გაანალიზონ რეგიონში მიმდინარე პროცესები.

რაც შეეხება სასწავლო კურსების ფარგლებში შეფასების კომპონენტებს, რიგ კურსებში, მაგალითად, „კვლევის დიზაინი“, „ევროპის რეგიონალური სამეზობლო პოლიტიკა, „ნაციონალიზმი ეთნოკონფლიქტები და მშვიდობის შენარჩუნება“, „საბჭოთა კავშირის ისტორია“, „შედარებითი პოლიტიკა“ და სხვა, რეკომენდებულია, აქტივობის კომპონენტის შეფასების გადახედვა, რადგან დასწრებას ენიჭება ცალკე ქულა.

რაც შეეხება პროგრამის კლვევით კომპონენტს, კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომს, სილაბუსში რეკომენდებულია უნარების ფარგლებში სასწავლო შედეგების ფორმულირება ისე, რომ აქცენტი გაკეთდეს კვლევის დიზაინის სისტემატიურად აგებაზე; მოეთოდოლოგიის შერჩევაზე, მონაცემების შეგროვებაზე/გაანალიზებაზე. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში ასევე რეკომენდებულია, გაიწეროს შეფასების კომპონენტების დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტს და ასევე შემფასებელი კომისიის წევრებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების სკალაზე და მისაღწევი ხარისხობრივი დონეების შესახებ. იგივე კომენტარი ეხება „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას“, „რუსეთის თანამედროვე პოლიტიკას“ და „რუსეთის საგარეო პოლიტიკას“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვთვლთ, რომ მისასალმებელია, პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათი, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს შეისწავლოს და სიღრმისეულად გაანალიზოს იმ პროცესების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ევრაზიის რეგიონს. ამავე დროს, აღნიშნული პროგრამას სჭირდება მეტად გამოკვეთილი ფოკუსი რეგიონულ სპეციფიკაზე, რაც უნდა აისახოს სასწავლო კურსების სილაბუსებშიც.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• ევრაზიის და კავკასიის კვლევების პროგრამა და სილაბუსები;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუები სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში;<br>• პროგრამის კურიკულუმის რუკა;<br>• პროფესორის ასისტენტობის შეფასების უწყისი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში რეკომენდებულია უნარების ფარგლებში სასწავლო შედეგების ფორმულირება ისე, რომ აქცენტი გაკეთდეს კვლევის დიზაინის სისტემატიზირებულ აგებაზე, მათ შორის მეთოდოლოგიის შერჩევაზე, მონაცემების შეგროვება/გაანალიზებაზე;<br><br>• სამაგისტრო ნაშრომის, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, რუსეთის საგარეო პოლიტიკის სილაბუსებში უნდა გაიწეროს შეფასების კომპონენტების ფარგლებში დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტს და ასევე შემფასებელი კომისიის წევრებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების სკალაზე და მისაღწევი ხარისხობრივი დონეების შესახებ;<br>• „კვლევის დიზაინის“, „გლობალური პოლიტიკის“ სასწავლო კურსების ფარგლებში დაზუსტდეს ცოდნა-გაცნობიერებეის და უნარების ნაწილის, ხოლო 'საერთაშორისო ეკონომიკის“, „ცენტრალური აზიის პოლიტიკის“, „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსების შემთხვევაში - ცოდნა-გაცნობიერების ნაწილის სწავლის შედეგების ფორმულირება სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციასთან შესაბამისად;<br><br>• რიგ სასწავლო კურსებში, მაგალითად, „კვლევის დიზაინი“, „ევროპის რეგიონალური სამეზობლო პოლიტიკა“, „ნაციონალიზმი ეთნოკონფლიქტები და მშვიდობის შენარჩუნება“, „საბჭოთა კავშირის ისტორია“, „შედარებითი პოლიტიკა“ და სხვა, რეკომენდებულია, აქტივობის კომპონენტის შეფასების გადახედვა (დასწრებას ენიჭება ცალკე ქულა).<br><br>• ისეთი სასწავლო კურსების ფარგლებში, როგორიცაა „გლობალური პოლიტიკა“, „ევროპის რეგიონული სამეზობლო პოლიტიკა“, „რუსეთი და ახალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლტიკა“, რეკომენდებულია, განალხდეს სავალდებულო ლიტერატურა. რუსეთის საგარეო პოლიტიკის სილაბუსში განახლდეს წყაროები რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტური დოკუმენტების შესახებ. რათა სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა აითვისოს და გაანალიზოს რეგიონისთვის დამახასიათებელი პროცესები უახლესი ლიტერატურის გამოყენებით;<br>• სავალდებულო სასწავლო კურსის „ევროპის რეგიონული სამეზობლო პოლიტიკაში“ ფოკუსი კეთდება სამხრეთ კავკასიაზე, ამავე დროს ისეთი საკითხები, რომელიც ეხება რეგიონის სხვა ქვეყნებს, როგორიცაა უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, რუსეთი, ნაკლები ყურადღებით სარგებლობს ამ სილაბუსის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, დაზუსტდეს აღნიშნული სილაბუსის თემატიკა; |

•

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სასურველია ისეთი სასწავლო კურსების ფარგლებში როგორიცაა „სამშვიდობო მისიების“, „ნაციონალიზმის პრაქტიკის და თეორიის“, „ნაციონალიზმი, ეთნოკონფლიქტები და მშვიდობის შენარჩუნება“, „განვითარების ეკონომიკა“, „მდგრადი განვითარების“, ინტეგრირებული იქნას ევრაზიის რეგიონისთვის დამახასიათებელი შემთხვევების ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონული პროცესების და სუბრეგიონული თავისებურებების სტუდენტის მიერ გაანალიზებაში;
- სასურველია „ევოპის სამეზობლო პოლიტიკის“ სავალდებულო სასწავლო კურსის სათაურის დაზუსტება, რადგან სილაბუსის მიხედვით აქცენტი კეთდება ევროკავშირზე;
- სასწავლო კურსში „რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა“ სასურველია თემატიკის დაზუსტება საქართველოსთან მიმართებაში, კერძოდ, ბოლო სამი თემა „ვარდების რევოლუციის შესახებ“ გადატანილი იქნას რუსეთის საგარეო პოლიტიკის საწავლო კურსში;
- სასურველია, დაზუსტდეს სასწავლო კურსის „შედარებითი პოლიტიკა: ავტორიტარიზმიდან დემოკრატიებამდე“ სათაური და გაკეთდეს აქცენტი შედარებითი ანალიზის სტრატეგიებზე, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ეფექტიანად გაანალიზონ რეგიონში მიმდინარე პროცესები;
- სასურველია, „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ სასწავლო კურსი გახდეს სავალდებულო, ასევე „ცენტრალური აზიის პოლიტიკის“ სასწავლო კურსს მიენიჭოს სავალდებულო სტატუსი.
- სასურველია, დაზუსტდეს, პროგრამის რომელი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები იკითხება ინგლისურ ენაზე და შესაბამისი სილაბუსების იქნას შედგენილი.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდგენილი მასალებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ევრაზიის და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა უმეტესწილად უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის საფუძველზე, სტუდენტთა აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარებას. მაგისტრანტების მიერ კვლევითი უნარების განვითარებისათვის პროგრამაში გათვალისწინებულია ორი სავალდებულო სასწავლო კურსი, კერძოდ, „სოციალური კვლევის მეთოდები“ და „კვლევის დიზაინი“. როგორც აღინიშნა 2.3. ქვესტანდარტის ფარგლებში, პროგრამას სჭირდება მეტი აქცენტი კვლევითი უნარების განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სიღრმისეული და სისტემური ცოდნის მიღებას ევრაზიის რეგიონში პროცესების გაანალიზებისათვის, მეთოდოლოგიური მიდგომების კვლევის შინაარსის შესაბამისად შერჩევას.<br><br>ასევე, რეგონული პროცესების შესწავლისას, ქვეყნებს შორის განსხვავებული და საერთო/მსგავსი თავისებურებების გამოკვეთის მიზნით, საჭიროა პროგრამის სასწავლო კურსებში მეტი აქცენტი გაკეთდეს შედარებით კვლევით სტრატეგიებზე, განსაკუთრებით, როცა განიხილება რეგიონული ტენდენციები.<br><br>ევრაზიის და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაში აუცილებელი პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია სავალადებული სასწავლო კურსების სილაბუსებში. მათი დეტალური შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო კურსების უმეტესობა ძირითადად ორიენტირებულია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარზე. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციის შესაბამისად, ასევე დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით, სასურველია მეტი აქცენტი ანალიტიკურ უნარებზე, ისეთ შეფასების კომპონენტებზე, რომელიც ეფექტიანად უზრუნველყოფს პრაქტიკული *უნარების მიღწევის შეფასებას, მაგალითად, პოლიტიკის* |

*დოკუმენტი, წიგნის/სტატიის რეცენზია, შემთხვევების ანალიზი (case study), შედარებითი ანალიზი.*

ხაზგასასმელია, რომ ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა „ევროპის რეგიონული სამეზობლო პოლიტიკა“, „საბჭოთა კავშირის ისტორია“ სტუდენტების კვლევითი უნარები ფასდება კვლევითი პროექტის მიერ, რომლის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია, ასევე მისასალმებელია, რომ სასწავლო კურსების უმეტესობაში გამოიყენება სტუდენტების მიერ პრეზენტაციები, დისკუსიები.

მისასალმებელია, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის მიერ ყოველწლიურად განხორციელებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში და თსუ-ს მიერ ორგანიზებულ ასევე ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში. გარდა ამისა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრონულად გამოდის „სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში“, სადაც, მოცემული პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ თავიანთი სამეცნიერო სტატიები. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტუდენტებისთვის სტიპენდიის მოპოვების წინაპირობას წარმოადგენს სამეცნიერო აქტივობები (სტიპენდიის ჯამური ქულის 20% სწორედ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და სამეცნიერო სტატიების რაოდენობით გამოითვლება).

საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევის პროცესში სრულად ასახულია ეთიკის ნორმები. მეოთხე სემესტრში გათვალისწინებულია კონსულტაციები სამეცნიერო ხელმძღვანელთან და ცალკეული სასწავლო კურსები, სადაც სტუდენტი აქტიურად იყენებს ანტიპლაგიატის პროგრამას Turnitin-ს სადაც ხდება ცალკეული დავალებების, სასწავლო კურსით გათვალისწინებული ესეებისა და სამაგისტრო ნაშრომის ცალკეული ნაწილების ატვირთვა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინფორმაცია სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო კონფერენციებში;
- სტიპენდიების მინიჭების წესი - საფაკულტეტო;
- საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესი.

| |
|---|
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br>**სასურველია** ევრაზიის და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაში მეტი აქცენტი გაკეთდეს ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რომლის მიღწევის შეფასება განხორციელდება ისეთი დავალებებით, როგორიცაა პოლიტიკის დოკუმენტი, წიგნის/სტატიის რეცენზია, შემთხვევების (case study) შედარებითი ანალიზი და სხვა, რაც გააძლიერებს სტუდენტის მიერ რეგიონული პროცესების შეფასების დროსაც. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ევრაზიის და კავკასიის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისათვის გამოიყენება ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა ლექცია, ახსნა-განმარტება, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები, შემთხვევის შესწავლა, გონებრივი იერიში, აუდიო-ვიზუალური მუშაობა, ელექტრონული სწავლების მეთოდები. |

აღნიშნული სწავლა-სწავლების მეთოდები მეტწილად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს. როგორც უკვე აღინიშნა 2.3. აკრედიტაციის ქვესტანდარტის ფარგლებში, რიგ სასწავლო კურსებში ცოდნა-გაცნოებიერების და უნარების ფარგლებში სწავლის შედეგების ფორმულირება მეტად შეესაბამება საბაკალავრო, ვიდრე სამაგისტრო საფეხურს. იქიდან გამომდინარე, რომ თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები ებმის სასწავლო კურსის შინაარს, საჭიროა სწავლება-სწავლის მეთოდების დაზუსტება.

მისასალმებელია, რომ მოცემული საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ვიზიტის ფარგლებში გასაუბრებების დროს დადასტურდა პროგრამაზე უცხოელი სტუდენტების კულტურული და სხვა საჭიროებების გათვალისწინება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებისას. ამავე დროს რეგიონული კვლევების დარგის კომპლექსურობიდან და ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა ისეთი სწავლების მეთოდების სასწავლო პროცესში ინტეგრირება, როგორიცაა მაგალითად, რეფლექსური სწავლება. იმ პირობებში, როცა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით, შესაძლოა, სტუდენტებს საბაკალავრო ხარისხი მიღებული ჰქონდეთ განსხვავებულ სპეციალობებში და აქედან გამომდინარე, განსხვავებული საჭიროებები სასწავლო პროცესის ფარგლებში, რეფლექსური სწავლების მეთოდი უზრუნველყოფს ლექტორის მხრიდან უკვე შესწავლილი მასალის გადახედვას და გაანალიზებას სტუდენტების მიერ უკუკავშირის საფუძველზე.

ამის გარდა, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ მაღალი ხარისხის კვლევის ჩატარების მიზნით, პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდებს გააძლიერებს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდის (PBL) და Inquiry-based სწავლის მეთოდის გათვალისწინება იმ სასწავლო კურსების ფარგლებში, სადაც ეს რელევანტური იქნება. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის მიერ სწავლის შედეგების მეტად ეფექტიანად მიღწევისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ევრაზიის და კავკასიის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვიზიტის ფარგლებში გასაუბრებების შედეგები;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის თვითსეფასების ანგარიში.

| |
|---|
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>სასურველია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდის (PBL), Inquiry-based, რეფლექსური სწავლა-სწავლების მეთოდის გათვალისწინება იმ სასწავლო კურსების ფარგლებში, სადაც ეს რელევანტური იქნება. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის მიერ სწავლის შედეგების მეტად ეფექტიანად მიღწევას. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| |

| |
|---|
| 2.6. სტუდენტების შეფასება |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>თსუ-ში ევრაზიისა და კავკასიის კვლევები სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით ონლაინ შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და თსუ-ს შიდა რეგულაციებთან. პროგრამის მოცემული სტანდარტით შეფასებისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შეფასდა მოცემული ვიზიტისას, წარმოადგენს |

იგივე ინგლისურენოვან ინტერდისციპლინარულ სამაგისტრო პროგრამის ზუსტ ქართულენოვან ანალოგს. ენის ცვლილების გამო მოცემული პროგრამა წარმოდგენილია, როგორც ახალი პროგრამა, რომელიც გადის აკრედიტაციას და არა რეაკრედიტაციას. ამდენად, იმის გათვალისწინებით რომ ქართულენოვანი პროგრამა ახალია, მოცემული სტანდარტის მიხედვით შესაფასებლად გამოკითხულნი იქნენ ინგლისურენოვანი ანალოგი პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

ინგლისურენოვანი ანალოგი პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად და ახალი პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა გამჭირვალეა და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე შემფასებლებისათვის. ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს სემესტრის დასაწყისშივე. თითოეულ სასწავლო კურსში შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შეფასების წარმოდგენილი სისტემა მორგებულია სწავლების შინაარსსა და ითვალისწინებს მოცემული კურსის სპეციფიკას. პროგრამის სილაბუსებში გაწერილია შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტები ინდივიდუალური შეფასების შედეგებს ეცნობიან ელექტრონული სასწავლო პორტალი LMS-ის (lms.tsu.ge) მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. ხაზგასასმელია, რომ მოცემული სასწავლო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრმით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: დისკუსია/დებატებში მონაწილეობას, წერითი და ზეპირ სამუშაოებს, სემინარებს, შემთხვევის ანალიზს, პრეზენტაციებს და ასევე ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება როგორც შუალედური, ისე ფინალური შეფასების გზით. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. გამოყენებული შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევისაკენ.

სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე სტუდენტი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც მოიცავს 30 კრედიტს და ფასდება 100 ქულით. ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი სახით: რეცენზენტის შეფასება - 40 ქულა, ხოლო კომისიის შეფასება - 60 ქულა. როგორც კურსდამთავრებულების ნაშრომების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, სამაგისტრო ნაშრომები შესრულებულია აკადემიური კუთხით გაფორმების წესების დაცვით. ხაზგასასმელია, რომ ნაშრომის საბოლოო დაცვამდე სტუდენტი სასწავლო კურს - „სამაგისტრო ნაშრომი“-ის ფარგლებში ვალდებულია ნაშრომი წარადგინოს შუალედურ დაცვაზე ხელმძღვანელის შუამდგომლობით, რომლის დროსაც შესაბამისი კომისიის მიერ განხილული იქნება აღნიშნული ნაშრომი. ნაშრომის შეფასება შუალედურ დაცვაზე ხდება იმ კრიტეროიუმების გათვალისწინებით თუ რამდენად სრულყოფილად წარმოადგინა სტუდენტმა კვლევის დიზაინი, რამდენად შეესაბამება ჩატარებული კვლევა საკვლევ მიმართულებას და რამდენად სწორად არის იგი წარმართული სამეცნიერო კუთხით. მოცემული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტის ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება

შემდეგნაირად: ხელმძღვანელი/მრჩეველის შეფასება - 20 ქულა, რეცეზენტის შეფასება - 40 ქულა, პრეზენტაცია - 40 ქულა. ინგლისურენოვანი ანალოგი პროგრამის სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომებიდან იკვეთება, რომ სტუდენტები ფლობენ აკადემიური მეთოდებით ნაშრომის გაფორმების წესებს. ნაშრომები ასევე მოწმდება პლაგიატის პროგრამაშიც, თუმცა როგორც ინგლისურენოვანი ანალოგი პროგრამის აქტიურ სტუდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა, სასურველია პროგრამის წარმომადგენლების მხრიდან გაკონტროლდეს თუ რამდენად ეფექტიანად მიეწოდებათ სტუდენტებს პლაგიატის პროგრამის არსებობისა და მისი გამოყენების წესების შესახებ ინფორმაცია.

ხაზგასასმელია, რომ ვიზიტის განმავლობაში, ინგლისურენოვანი ანალოგი პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ რეგულარულად ხორციელდება მათი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი და ახალი რეგულაციების შესახებ. ამასთანავე, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, ყოველწლიურად პროგრამის სამეცნიერო პერსონალის მიერ რეგულარულად ხორციელდება შეფასების შედეგების ანალიზი. სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას შემფასებლების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ, გაუმჯობესონ სწავლის შედეგები. ინტერვიუს პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ სტუდენტები კარგად იცნობენ მოქმედ სააპელაციო სისტემას და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

აქვე ხაზგასასმელია, რომ ონლაინ ვიზიტმა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობამ დაგვანახა, რომ შეფასების არსებული სისტემა კარგადაა ცნობილი შემფასებლებისათვისაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის თაობაზე ხდება ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა მექანიზმით. კერძოდ, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარული ონლაინ-კონსულტაციების მეშვეობით აცნობს აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების მექანიზმებს. მოცემული მიმართულებით, ასევე პერიოდულად ტარდება ვიდეო-ტერინინგები, რომლის მეშვეობითაც ხდება შეფასების სისტემის გაცნობა შემფასებლებისათვის. გარდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები ატარებენ რეგულარულ კონსულტაციებს აკადემიურ პერსონალთან, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს დეტალურად ეცნობა არსებული გაიდლაინები ელექტრონული შეფასების სისტემისა და შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული ახალი სტანდარტებისა და წესების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, ანალოგი პროიგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ელექტრონული სწავლების პლათფორმა “e-learning” (e-learning.tsu.ge).
- დადგენილება №100/2019 - სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ;

| |
|---|
| • ტრეინინგების კალენდარი (https://tsu.ge/ka/quality-assurance/);<br>• სასწავლო კურის, „სამაგისტრო ნაშრომი“, სილაბუსი;<br>• სამაგისტრო ნაშრომები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>სასურველია პროგრამის წარმომადგენლების მხრიდან გაკონტროლდეს სტუდენტებისათვის პლაგიატის პროგრამის არსებობისა და მისი გამოყენების წესების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების პროცესი. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების | | V | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შეფასების ადეკვატურობა | | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ონლაინ-ვიზიტის ჩატარების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს იმ მხარდაჭერას რომელიც საჭიროა სასწავლო პროცესის დაუბრკოლებლად განსახორციელებლად. აღნიშნულ პროცესში ჩართულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ფაკულტეტზე არსებული სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელთა მთავარ მიზანსაც წარმოადგენს პროგრამის სტუდენტისა და კურსდამთავრებულისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება როგორც უშუალოდ სწავლის პროცესთან დაკავშირებით, ასევე მათი შემდგომი პროფესიული ზრდის შესაძლებლობების თაობაზეც. როგორც ანალოგი ინგლისურენოვანი პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა კონსულტაციები იმართება პროგრამაზე ჩარიცხვიდან პირველივე კვირაში, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და მასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ. თუმცა, მოცემული ანალოგი პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუს შედეგებმა გვიჩვენა რომ სტუდენტებს ექმნებათ გარკვეული სახის სირთულეები სასწავლო პროცესის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღების კუთხით, მათ შორის როგორც ელექტრონული სწავლების რესურსებთან მიმართებაში ასევე სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან მიმართებაშიც. რესპოდენტებმა ხაზი გაუსვეს მოცემული პროცესის უფრო მეტად გამჭირვალედ წარმართვის აუცილებლობას. ამასთანავე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა უნივერსიტეტის |

ადმინისტრაციასთან  დროული და ეფექტიანი კომუნიკაციის განხორციელების კუთხით არსებული გარკვეული სირთულეებიც. მნიშვნელოვანია, რომ ახალი პროგრამის განხორციელების პროცესში მაქსიმალურად აღმოიფხვრას არსებული დაბრკოლებები.

აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ, აკადემიური პერსონალისგან სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. კონსულტაციისთვის გამოიყენება ინდივიდუალური შეხვედრები, ელ-ფოსტა, ელექტრონული სასწავლო პორტალი LMS-ი და  ოფიციალური სოციალური ქსელები. ხაზგასასმელია ის ეფექტიანი უკუკავშირი, რომელიც არსებობს ანალოგი პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი თვითშფასების პროცესში. მონაწილეობენ როგორც სემესტრულ გამოკითხვებში, რომლითაც აფასებენ სხვადასხვა სასწავლო კურსებს, ასევე წელიწადში ერთხელ მონაწილეობენ საერთო კმაყოფილების კვლევის პროცესში. თსუ-ს ცენტრალური ხარისხის სამსახური ასევე ატარებს  საკონსულტაციო შეხვედრებს სტუდენტებთან. უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული სასწავლო პორტალის (lms.tsu.ge) მეშვეობით სტუდენტი ერთვება უნივერსიტეტის შიდა საინფორმაციო სივრცეში. ამასთანავე მოცემულ პორტალზე სტუდენტები რეგისტრირდებიან და ირჩევენ სასწავლო კურსებს. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ინფორმირების მიზნით გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ  ქსელებში  შექმნილი ოფიციალური ჯგუფები და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული გვერდი. აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით, სტუდენტს ასევე მიეწოდება ინფორმაცია დაფინანსებისა და გაცვლითი პროგრამების თაობაზე.  სტუდენტებს საკომუნიკაციო სისტემისა (LMS) და ფაკულტეტზე მოქმედი სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მეშვეობით ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების, კვლევითი პროექტებისა და გრანტების თაობაზე.  სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ასევე უზრუნველყოფს სტუდენტის დაინტერესების შემთხვევაში მის მხარდაჭერას კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით. თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა გარკვეული სირთულეები რომელიც უკავშირდებოდა სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ეფექტიანად მიწოდებას, მათ შორის ეს ეხებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, არსებული სამეცნიერო რესურსების, პლაგიატის პროგრამის გამოყენებისა და სხვა აუცილებელი სერვისების შესახებ არსებული ინფორმაციის ეფექტიანად მიწოდებას. გამომდინარე აქედან მიზანშეწონილია სამომავლოდ

| |
|---|
| მაქსიმალურად ეფექტიანად იქნას მიწოდებული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• ინტერვიუს შედეგები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, ანალოგი პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>• სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>• ელექტრონული სასწავლო პორტალის ადმინისტრირების სისტემა (admin.lms.tsu.ge)<br>• ანალოგი ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულმა პერსონალმა უზრუნველყოს სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ეფექტიანად მიწოდება, მათ შორის როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, ასევე ელექტრონული სწავლების მექანიზმების, არსებული სამეცნიერო რესურსების გამოყენებისა და სხვა აუცილებელი სერვისების შესახებ. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, აკადემიურ პერსონალთან, ანალოგი პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. როგორც ანალოგი პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ფაკულტეტი სტუდენტს აძლევს საშუალებას კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში რეგულარული კონსულტაციები მიიღოს როგორც ხელმძღვანელისგან ისე სხვა აკადემიური პერსონალისგანაც. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც. სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის მაქსიმალურად ეფექტიანად წარმოების მიზნით, თსუ-ს მიერ შემუშავებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი, რომელიც არეგულირებს სამაგისტრო ნაშრომის განხორციელების პროცესსა და ხელმძღვანელის უფლება- მოვალეობებს. აღნიშნული ასევე რეგულირდება ფაკულტეტის დებულებითა და ელექტრონული სწავლების ფორმატში საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის წესების შესახებ დამტკიცებული დოკუმენტებითაც.

ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

| |
|---|
| • აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუ ანალოგი პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>• ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან;<br>• ინტერვიუ თვითშფასების ჯგუფთან;<br>• ანალოგი პროგრამის კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | V | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილები არიან უნივერსიტეტის მიერ სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ს, ფაკულტეტისა და პროგრამის მიერ, უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება კონკურსის წესით, რომლის კრიტერიუმებია: კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება, ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აკადემიური ნაშრომები,

სამეცნიერო კონფერენციებში, გრანტებში, ტრენინგებში მონაწილეობა. კონკურსში გამარჯვების შემთხვავაში ფორმდება სამუშაო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესატყვისად.

დღეისათვის პროგრამაში ჩართულია 16 (7 აფილირებული, 8 მოწვეული და 1 უცხოელი ლექტორი) აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი; 7 აფილირებული ლექტორიდან 3 პროფესორია და 4 ასოცირებული პროფესორი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმაძღვანელობას ახორციელებს 4 აფილირებული პროფესორი; საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს თანახელმძღვანელობას უწევს მოწვეული ლექტორი. პროგრამაზე მიმაგრებულია 2 ტუტორი.

პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მისი მეღალი კვალიფიკაცია დასტურდება სფეროში სამუშაო გამოცდილებითა და აკადემიური აქტივობით. მისი საერთაშორისო გამოქვეყნებებით, პროექტებში მონაწილეობითა და კვლევებით. ის აქტიურადაა ჩართული პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და გარდაქმნის პროცესში; თვალს ადევნებს სტუდენტთა კმაყოფილებასა და მათ აკადემიურ მოსწრებას.

ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა ხელშეწყობილია უსდ-ს ადმინისტრაციისა და პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებით. პროგრამა ხორციელდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომლის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჯამური რაოდენობა შეადგენს 47 ადამიანს. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო პროცესის ცენტრალიზებული სისტემის არსებობის გათვალისწინებით, პერსონალი სრულად არის ჩართული პროგრამის თითოეული სტუდენტის მომსახურებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აძლიერებს პროგრამას პერიოდიული მონიტორინგით.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას და შეესაბამება პროგრამის აქტიური სტუდენტების რაოდენობას. ლექტორებისა და სტუდენტების ბალანსი განაპირობებს პროგრამის მდგრადობას.

| |
|---|
| პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მაქსიმალურადაა მოტივირებული შექმნას სტუდენტისათვის კომფორტული სასწავლო გარემო. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>• აკადემიური პერსონალის CV-ები,<br>• თსუ აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის<br>• განსაზღვის წესი ( დანართი 6),<br>თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება (118/2014) აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ,<br>• თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება (81/2018) პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ,<br>თსუ-ს აკადმიური საბჭოს დადგენილება (64/2018) აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ,<br>• პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები (დანართი 3).<br>• ინტერვიუები ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ-ში მომუშავე მთელი პერსონალის და მათ შორის პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მუშაობის ხარისხი პერიოდულად მოწმდება ხარისხის სამსახურის მიერ. ფაკულტეტზე შეფასების ორი მექანიზმი ფუნქციონირებს: აკადემიური პერსონალის მიერ თვითშეფასების კითხვარის შევსება და სტუდენტთა ნებაყოფლობითი ანონიმური გამოკითხვა ყოველი სემესტრის ბოლოს. შეფასების დასრულების შემდეგ, ხარისხის სამსახური წერს დასკვნას შემუშავებული რეკომენდაციებით და აცნობს მას პროგრამის ხელმძღვანელს ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად. ამასთან, უკანასკნელს მოეთხოვება გაარკვიოს ხარვეზის გამომწვევი ფაქტორები და კონკრეტული მექანიზმებით იზრუნოს მის გამოსწორებაზე. სწავლებასა და კვლევაში გამორჩეული აკადემიური პერსონალის წასახალისებლად უსდ-ში მოქმედებს წახალისების ფინანსური მექანიზმი.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის დეკანიც დადგენილი კრიტერიუმების შესატყვისად.

უსდ მუდმივად ზრუნავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე (თსუ-ს სამოქმედო გეგმა). პროგრამაში ჩართული ლექტორები მონაწილეობენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, მონაწილეობენ კონფერენციებში, ატარებენ საჯარო ლექციებს, მონაწილეონებ საერთაშორისო კვლევით პროექტებში.

უსდ და ფაკულტეტი ყოველწლიურად ატარებს საგრანტო კონკურსებს აკადემიური პერსონალის წასახალისებლად კვლვების მიმართულებით. ამავდროულად, უნივერსიტეტი ორიენტირებულია აამაღლოს მისი თანამშრომლების ცნობიერება თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლებისა და კვლევის პროცესში გამოყენებისათვის, სტუდენტსა და ლექტორს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის. 2018 წლიდან სისტემატურად ტარდება ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების მოთხოვნების, პროგრამის სრულფასოვნად აგებისა და თვითაშეფასების ანგარიშის შექმნის მიზნით. 2020 წელს აკადემიური პერსონალისათვის ჩატარდა შემდეგი

ტრენინგები: სასწავლო პროცესის მართვის ბაზის გამოეყენება დისტანციურ სწავლებაში, Moodle -ის გამოეყენება დისტანციურ სწავლებაში (I და II ნაწილი), Zoom-ის გამოეყენება დისტანციურ სწავლებაში,
დიდი ზომის ფაილების (სალექციო მასალები, ლექციების აუდიო/ვიდეო ჩანაწერები) განთავსება სასწავლო პროცესის მართვის სისტემებში (lms, Moodle) და სხვა.

უსდ უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის განვითარებისათვის აუცილებელ ფინანსურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას საერთაშორისო კონფერენციების, ტრენინგების თუ საჯარო ლექცია/სემინარებში მონაწილეობა/ორგანიზებისათვის.

უსდ, ფაკულტეტი და წარმოდგენილი პროგრამა იყენებს ფართო ინტერნაციონალიზაციის ქსელს და სურვილის შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ აფინანსებს აკადემიური პარსონალის მონაწილეობას საერთაშორისო აქტივობებში (კონფერენცია, ტრენინგი, ფორუმი და სხვა).

უსდ თავადაცაა ჩართული უნივერსიტეტის ბაზაზე საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზების პროცესში. კონფერენციები ეწყობა როგორც აკადემიური პერსონალისათვის, ისე სტუდენტებისთვის. უსდ-ს აქვს აკადემიური სამეცნიერო ჟურნალი, რომელშიც იბეჭდება კონფერენციის მასალები და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სტატიები.

უნივერსიტეტის ისევე, როგორც პროგრამის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად და პროგრამის უფრო ეფექტიანად გასახორციელებლად, პერიოდულად ტარდება სწავლების მეთოდოლოგიისა თუ სილაბუსის შედეგენისა და სხვა დანიშნულების ტრენინგები (სილაბუსების სწორად შედგენის შესწავლის მიზნით ბოლოს ამგვარი ტრენინგი ჩატარდა აპრილში).

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოველმხრივ ხელს უწყობს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროცესს და გამოყოფს შესაბამის ფინანსებს, რაც მკაფიოდაა ასახულია უსდ-ს ბიუჯეტში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში,
- პერსონალის პროფესიული განვითარება (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები 2018 , 2019, 2020 (დანართი 16);

- თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები: https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/research/balances/
- პროგრამის ბიუჯეტი,
- აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები,
- უსდ ვებგვერდი (http://www.tsu.edu.ge).

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

**შეფასება**

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ პროგრამის სტუდენტებსა და პერსონალს უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებით, სტუდენტური სივრცეებით, საკონფერენციო დარბაზებითა და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით. ონლაინ სწავლების პირობებში უსდ-მ სტუდენტებს შეუქმნა საჭირო პირობები.

| |
|---|
| უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა თემატური დატვირთვის აუდიტორიები, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვა. უსდ-ს ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა საჭირო ნივთითა თუ ტექნიკით. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია სივრცე სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისათვის. ონლაინ სწავლების პირობებში ბიბლიოთეკამ უზრუნველყო საჭირო წიგნების ნეწილობრივი გაციფრება. გაციფრებულია კურსებში მითითებულო ყველა სავალდებულო საკითხავი მასალა და ატვირთულია ან ელექტრონულ პლატფორმაზე (LMS) ან elearning-ის სისტემაში. არასავალდებულო მასალის გაციფრება ხდება სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში.<br>უსდ-ს ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურიდან შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ლიტერატურა (წიგნები, რიდერები) ბიბლიოთეკაში იძებნება. უსდ-ს ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და პერსონალს სთავაზობს სამეცნიერო ელ - ბაზებზე **(EBSCO Publishing, Cambridge Journals, EconLit Edward Sage Journals, Jstor** და სხვა თავისუფალი წვდომის ჟურნალები) წვდომას. ონლაინ სწავლების პირობებში სტუდენტებს აქვთ ბაზებზე დისტანციურად წვდომის საშუალება. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების წასახალისებლად, რათა მათ აქტიურად გამოიყენონ აღიშნული ბაზები. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ არ აჩვენა, რომ ისინი იყენებენ ელ-ბაზებს.<br>ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს: ინდივიდუალური კონსულტაცია, ჯგუფური კონსულტაცია, ტრენინგი, ბიბლიოთეკათშორისი მომსახურება.<br>უსდ ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ როგორც სტუდენტებსა და პერსონალს, ასევე კურსდამთავრებულებს.<br>უსდ ვებგვერდზე დეტალურად არის გაწერილი საბიბლიოთეკო სარგებლობის რეგულაციები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• უსდ-ში განხორციელებული ონლაინ ვიზიტი,<br>• მემორანდუმები,<br>• https://tsu.edu.ge |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>**სასურველია,** პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების წასახალისებლად, რათა მათ აქტიურად გამოიყენონ აღიშნული ბაზები. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):** |
| **შეფასება:**<br><br>V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უსდ-ს ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამას აქვს საკუთარი ბიუჯეტი. წარმოდგენილი ბიუჯეტი ძირითადად ივსება სტუდენტთა სწავლის გადასახადით. პრობლემის შემთხვევაში, უსდ გამოყოფს დოტაციურ თანხებს. უსდ-ს ადმინისტრაციასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ესდ დაინტრესებულია წარმოდგენილი პროგრამის ფუნქციონირებით და ამიტომ საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტაბილურობას. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გათვალისწინებულია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ხელფასები როგორც აფილირებული, ისე მოწვეული პერსონალისათვის და მათთვის სამეცნიერო/კვლევის ხარჯის ანაზღაურება, სასწავლო რესურსი, კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო სტატიები, სტუდენტური სწავლის დაფიინანსება, გაცვლითი პროგრამები. პრაქტიკა, ექსპედიცია და სხვა კურიკულუმს მიღმა აქტივობები. კვლევით გრანტები გათვალისწინებულია ფაკულტეტისა და უსდ-ს |

ბიუჯეტში. მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, წიგნების თარგმანისა და გამოქვყნების ხარჯების ფარავს ფაკულტეტი ან  უსდ.

დღეისათვის პროგრამის ბიუჯეტი შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და განაპირობებს პროგრამის მდგრადობას. უსდ-სა და ფაკულტეტს გამოყოფილი აქვს თანხები კვლევითი პროცესის წასახალისებლად და მხარდასაჭერად. უნივერსიტეტის შიგნით ფუნქციონირებს შიდასაგრანტო სისტემა, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართვა. ლექტორთა და სტუდენტთა  დაფინანსებას ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძებებში მონაწილეობისათვის უზრუნველყოფს პროგრამაც, ფაკულტეტიც და უსდ-ც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები,
- ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი,
- https://tsu.edu.ge

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

**შეფასება:**

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | V | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების საფუძველზე. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას. |

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს პრინციპით „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“, რომელიც ნაწილდება შემდეგგვარად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და ამის მიხედვით პროგრამის ჩამოყალიბება ან უკვე არსებული პროგრამის მოდიფიცირება.

რამდენადაც ინტერვიუების პროცესით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოიკვეთა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტები ჩართულნი არიან მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვის და სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეშვეობით.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური: 1) შეიმუშავებს გამოკითხვის (სტუდენტის, კურსდამთავრებულის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, პერსონალის, დამსაქმებლის) ფორმებს. 2) ატარებს სტუდენტთა ანონიმურ გამოკითხვას სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის, მომსახურებით სტუდენტთა კმაყოფილების და სხვ. გამოკვლევის მიზნით. 3) ატარებს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის გამოკითხვას პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის კუთხით 4) ატარებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ანონიმურ გამოკითხვას 5) ახდენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს 6) ამოწმებს საბიბლიოთეკო ფონდის და სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობას.
მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მონაცემთა გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, თუმცა ნაკლებად იკვეთება რეკომენდაციების შემუშავებისა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრის ეტაპი, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ნამდვილად იწყება შეფასების პროცესების დაგეგმვით. მეორე ეტაპი მოიცავს დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელებას, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას, თუმცა სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდონით, ანალიზის წარმოების შემდეგ, მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული ან დაგეგმილი რეაგირებებიც.

შესაბამისად, რეკომენდებულია გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიან რეაგირების ანგარიშში.
წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ინტერვიუების პროცესზე დაკვირვებით უნდა ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად არსებული მექანიზმებისა, ინსტიტუციამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ამ კუთხით მუშაობა, რათა მოხდეს მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება. სასურველია, პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებისა და დამსაქმებლების კიდევ უფრო მაღალი დოზით ჩართულობა და მოხდეს მათი აზრებისა და დამოკიდებულებების კვლევის შედეგების უფრო დეტალურად გაანალიზება და ეს ყველაფერი მეტად იყოს გამოყენებული პროგრამის ჩამოყალიბების ნაწილში.

განსხვავებით აკადემიური და მოწვეული პერსონალისა, არ იგრძნობოდა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და განსაკუთრებით დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ითვლება, რომ ახალია და ჯერჯერობით არც სტუდენტები და მითუმეტეს არც კურსდამთავრებულები არ ჰყავს, ასეთ დროს აუცილებელია მომიჯნავე პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტენსიური ჩართულობა პროგრამის შექმნის კუთხით. ინსტიტუციამ აუცილებლად უნდა იზრუნოს ამ მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებაზე და დაინტერესებულ

| |
|---|
| მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფაზე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას.<br><br>გასაუმჯობესებელ მხარედ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის მონიტორინგში და შეფასებაში არ არის სისტემატური და ძირითადად ხორცილდება იშვიათად, პირადი კომუნიკაციის საშუალებით.<br>აქედან გამომდინარე, სასურველია, მოხდეს გამოკითხვებში დამსაქმებელთა, როგორც ერთ-ერთი დაინტერესებული მხარის დაინტერესებული მხარეების გამოპასუხების დონის კიდევ უფრო გაზრდა.<br>ინსტიტუციის მხრიდან შემუშავებულია სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ყველა სტრუქტურული ერთეულის ეფექტურად ჩართვას, რაც შემდგომში, თავის მხრივ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და შემდგომ განვითარებას.<br><br>უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მხარდაჭერის კომიტეტი, დაკომპლექტებული გახლდათ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. გარდა ამისა, შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავდა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში<br>● სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;<br>● სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;<br>● სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგებთან პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის ფორმების დამტკიცების შესახებ;<br>● სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ;<br>● საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და |

| |
|---|
| განვითარების პროცედურა;<br>• სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;<br>• საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;<br>• სილაბუსის შეფასების ფორმა და ინდიკატორები;<br>• უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი;<br>• გამოკითხვის ფორმები;<br>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები;<br>• აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br>• სასურველია, მოხდეს გამოკითხვებში დამსაქმებელთა, როგორც ერთ-ერთი დაინტერესებული მხარის გამოპასუხების დონის კიდევ უფრო გაზრდა.<br>• სასურველია, პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებისა და დამსაქმებლების კიდევ უფრო მაღალი დოზით ჩართულობა და მოხდეს მათი აზრებისა და დამოკიდებულებების კვლევის შედეგების უფრო დეტალურად გაანალიზება.<br>• სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული რეაგირებებიც. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.2 გარე ხარისხის შეფასება** |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს. ამ პროცესში მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით კი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, დახვეწას და შესაბამისად, პროგრამებით დასახული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას.<br><br>გარდა ამისა გარე შეფასება ხორციელდება პროგრამის განვითარების კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში. კომიტეტის წევრთა რეკომენდაციების საფუძველზე ხდება პროგრამის განახლება ან ცვლილება, აუცილებლობისა და საჭიროების შემთხვევაში.<br><br>თსუ ადმინისტრაციის მართვის ორგანოები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა და მართვა ხორციელდება თსუ-ის მიერ დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს პროცესების მიმდინარეობის სიზუსტეს და გამჭვირვალობას. |

| |
|---|
| პროგრამის  გარე შეფასებაში მონაწილეობა მიიღო ორმა გარე შემფასებელმა (ექსპერტმა), რომლებიც არ იყვნენ შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენლები, არ არიან დაინტერესებული მხარეები, რომლებსაც გააჩნიათ, როგორც ზოგადი ცოდნა, ისე შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.<br>უნივერსიტეტის გარე შეფასების შედეგები გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების მიზნით. პროგრამის გარე შემფასებელმა ორივე ექსპერტმა, დადებითად შეაფასა პროგრამა და განსაკუთრებული შენიშვნები აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით არ ჰქონიათ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>● უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი<br>● ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება<br>● გარე ექსპერტთა მხარდაჭერის წერილები<br>● ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოვლეწლიური ანგარიშები<br>● აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები<br>● თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>√ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
| --- |
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>როგორც წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშითა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულები არიან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები.<br>პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით პერიოდულად ტარდება სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან. ასევე, პერიოდულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასების მიზნით, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, პერსონალის გამოკითხვები, დამსაქმებლის და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვები. ხორციელდება გამოკითხვის შედეგების ანალიზი გამოვლენილ გამოწვევებზე რეაგირების გზით პროგრამის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.<br>პერიოდულ შეფასებსთან და მონიტორინგთან მიმართებით არსებული ეს მიდგომა ვრცელდება ყველა პროგრამაზე, მათ შორის წარმოდგენილ პროგრამაზეც, რომელიც ახალია და ჯერეჯრობით მსგავსი გამოკითხვები უშუალოდ ამ პროგრამასთან მიმართებით არ ჩატარებულა, თუმცა გაზიარებული იქნა მომიჯნავე პროგრამაზე მოქმედი მიდგომები და პრაქტიკა, წარმოდგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტაციაც მტკიცებულების სახით.<br>როგორც ზემოთ აღინიშნა, უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა (ამ შემთხვევაში მომიჯნავე პროგრამიდან) და განსაკუთრებით დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში და მოხდეს გამოკითხვებში დაინტერესებული მხარეების გამოპასუხების დონის კიდევ უფრო გაზრდა.<br><br>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია, უფრო მეტად იკვეთებოდეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის გაანალიზების შედეგად რა რეკომენდაციები და რჩევები იქნა |

მიღებული და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ანალიზის საფუძველზე, პროგრამის შემუშავებისას.

აღსანიშნავია რომ ამ ეტაპზე ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა არ განახორციელა საუკეთესო პრაქტიკასთან/მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარება. მათი არგუმენტაცია კი იყო ის, რომ მოცემულ პროგრამებზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რომლებიც ფოკუსირებული არიან კავკასიურ კველევებზე (მალმოს უნივერსიტეტი, შვედეთი და იენის უნივერსიტეტი, გერმანია) კავკასიური, მათ შორის ჩრდილო კავკასიური ენების შესწავლა და კულტუროლოგია პროგრამის მთავარი შემადგენელია, მაშინ როცა ევრაზიისა და კავკასიის კვლევების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა უფრო თანამედროვე მოვლენებზეა ორიენტირებული და სწავლობს არა მარტო უშუალოდ კავკასიის, არამედ ყოფილი საბჭოთა სივრცის არეალსაც ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და უსაფრთხოებასთან და საერთაშორისო ურთერთობებთან დაკავშირებული საკითხების პერსპექტივიდან.
თვითშეფასების დოკუმენტში ერთ-ერთ გასაუმჯოებესებელ მხარედ კი მითითებული იყო პროგრამის დადარება სხვა ანალოგიურ პროგრამებთან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ პროგრამის ირგვლივ ბენჩმარკინგის განხორციელება სავსებით რეალისტურია. აქედან გამომდინარე, სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ანგარიშის სახით.
როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, თსუ-ში სისტემატიურად მიმდინარეობს სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

ინსტიტუციის მხრიდან არ ხორციელდება პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების (იმავე პროგრამის, სხვა პროგრამის იმავე უსდ-დან, ან სხვა უსდ-დან მოწვეული პირის მიერ) დასწრების საშუალებით. სასურველია, პერიოდულად მოხდეს კოლეგების მიერ სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების გზით, რაც კიდევ უფრო უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- შრომის ბაზრის კვლევა
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სწავლების შედეგების რუკა
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია უფრო მეტად იკვეთებოდეს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის გაანალიზების შედეგად რა რეკომენდაციები და რჩევები იქნა მიღებული და კონკრეტულად რა ცვლილებები განხორციელდა ანალიზის საფუძველზე მოცემული პროგრამის შემუშავებისას;
- სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
- სასურველია, პერიოდულად მოხდეს კოლეგების მიერ სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების გზით, რაც კიდევ უფრო უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ <u>მეტწილად</u> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | V | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის  უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ევრაიზისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 65

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | V | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | V | | |
| 3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | V | | | |
| 4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | V | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | V | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ფავლენიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის:

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ივანნა მაჩიტიძე.

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო პატარაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნანა ფირცხელანი